



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000010106977517

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 59

06 / ნოემბერი / 2017 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეკს/ეპერი“-საგან სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის „მოლი კახეთში“ ფარგლებში გრანტის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეკს/ეპერი“-საგან სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის „მოლი კახეთში“ ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელით მიიღოს გრანტი სავარაუდოდ 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით(პროექტის სავარაუდო ჯამური ღირებულებაა 26 521 ლარი), მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით დააფინანსოს პროექტის ღირებულებიდან სავარაუდოდ 11 521(თერთმეტი ათას ხუთას ოცდა ერთი) ლარი და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 აგვისტოს #48 განკარგულება.
3. განკარგულება გადაეწავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).



ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

07



თამარ ყვინიშვილი